

კრიტიკული დაავადებების დაზღვევის განვითარების პერსპექტივები
საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე

თათია უბილავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნინო მირზიკაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია უბილავა

2025 წელი

აბსტრაქტი

ფინანსური ტვირთი, რომელიც თან ახლავს კრიტიკულ დაავადებებს დიდი გამოწვევაა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის, როგორც საქართველო. კრიტიკული დაავადებების დაზღვევა (CII) წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ რისკის მართვის ინსტრუმენტს, რომელიც იცავს მოსახლეობას რთული დაავადებების შემთხვევაში ფინანსური პრობლემებისგან. ამ კვლევის მიზანი იყო საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე კრიტიკული დაავადებების დაზღვევის (CII) არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შეფასება. კვლევამ გამოიკვლია, თუ როგორ შეიძლება ამ პროდუქტის პოპულარობის ზრდა CII ინტეგრირებით ნებაყოფლობით ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტებში;

კვლევა ეფუძნებოდა შერეულ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებდა სამაგიდე და რაოდენობრივ ($n=374$) კვლევას. შედეგებმა აჩვენა, რომ CII მოთხოვნა ჯერ კიდევ შეზღუდულია. დაბალი ინფორმირებულობა, მაღალ ფასებზე მგრძნობელობა და პროდუქტის ნაკლები ხელმისაწვდომობა არსებული მთავარი დაბრკოლებებია. კვლევა ასევე მიუთითებს, რომ CII ინტეგრაცია ჯანმრთელობის დაზღვევაში შესაძლოა გაზარდოს მოთხოვნა და შეამციროს კატასტროფული ჯანმრთელობის ხარჯები.

კვლევამ დაამტკიცა, რომ საქართველოში CII-ს განვითარებისთვის საჭიროა უფრო მეტი ინფორმაციული კამპანია, ციფრული არხების გამოყენება და სახელმწიფო მხიდან ჩართულობა. საერთაშორისო გამოცდილებამ, კერძოდ, გერმანიის, კანადის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მაგალითებმა მიანიშნა, რომ კრიტიკული დაავადებების დაზღვევა შესაძლოა მომგებიანი და ეფექტური მექანიზმი გახდეს საქართველოსთვის, თუ იგი იქნება მოქნილი და ხელმისაწვდომი მომხმარებლისთვის.

სამიუბო სიტყვები: კრიტიკული დაავადებების დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, ფინანსური რისკების მართვა, კატასტროფული დანახარჯები

Abstract

The financial burden associated with critical illnesses poses a major challenge, particularly for developing countries such as Georgia. Critical Illness Insurance (CII) serves as an effective risk management tool that protects individuals from financial hardship in the event of serious health conditions. The aim of this study was to assess the current state and development prospects of Critical Illness Insurance (CII) in the Georgian insurance market. The research explored how the popularity of this product could be increased by integrating CII into voluntary health insurance packages.

The study was based on a mixed-method approach, combining desk research and quantitative analysis (n=374). The results indicated that the demand for CII remains limited. Low awareness, price sensitivity, and limited product availability are the main barriers identified. The study also suggests that integrating CII into health insurance may increase demand and reduce catastrophic health expenditures.

The research concluded that further development of CII in Georgia requires more extensive informational campaigns, the use of digital channels, and greater involvement from the state. International experience, particularly from Germany, Canada, the United Kingdom, and the United States, demonstrates that Critical Illness Insurance can become a profitable and effective mechanism for Georgia—provided it is designed to be flexible and accessible for consumers.

Keywords: Critical Illness Insurance, Health Insurance, Financial Risk Management, Catastrophic Expenditures